პაატა კოღუაშვილი, ნოდარ ნათაძე

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტია



ნოდარ ნათაძე, ფმდ, პროფესორი

პაატა კოღუაშვილი
სტუ-ს პროფესორი, ემდ

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების საკონსტიტუციო რეგლამენტაცია შესაბამისი სახელმწიფოს სოციალური ბუნების მაჩვენებელია. სოციალური უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელმაც ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებში, მათ შორის საქართველოს ძირითად კანონშიც.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ადამიანის კონსტიტუციურ ანუ ძირითად უფლებათა (კონსტიტუციური უფლებები სამ უმთავრეს ჯგუფს მოიცავს: I – პირადი; II – პოლიტიკური და III – სოციალურ-ეკონომიკური. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება შრომის უფლება, შრომის თავისუფლება, საკუთრების უფლება, განათლების უფლება და სხვ.) კატეგორიას მიეკუთნება. სოციალური სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვისა და განვითარების გარეშე. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაში გამოიხატება სოციალური სახელმწიფოს დანიშნულება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები განსაზღვრავენ ადამიანის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრის, სამართლებრივ მდგომარეობას, ქმნიან იურიდიულ პირობას იმისთვის, რომ პიროვნებამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება.

თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლის თეორიასა და ადამიანის უფლებათა სამართალში სოციალური უფლებები ზოგჯერ ცალკე, ხოლო ზოგან ეკონომიკურ, აგრეთვე კულტურის სფეროს უფლებებთან ერთად, ადამიანის ძირითადი უფლებების ცალკე ჯგუფად თუ კატეგორიად გამოიყოფა. ძირითადი უფლებები ისეთი უფლებებია, რომლებიც კონსტიტუციით რეგულირდება. სოციალური უფლებები საერთოდ კონსტიტუციით განსამტკიცებელ უფლებებად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს დებულება დასტურდება ბევრი თანამედროვე სახელმწიფოს კონ-

სტიტუციით, რომლებშიც სოციალური უფლებები მეტ-ნაკლები მოცულობით არის ასახული.

სოციალური უფლებების კონსტიტუციურად განმტკიცების მართებულობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილადაც უნდა ჩაითვალოს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებთან ერთად, ადამიანთა მოდგმის ყველა წევრისთვის თანდაყოლილ და ხელშეუვალ უფლებად არის აღიარებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტით „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“.

სხვა სიტყვებით, სოციალური უფლებები, უდავოდ, ადამიანის ძირითად უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. ძირითადი უფლებები, აღიარებული შეხედულებით, არ არიან სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ნაბოძები და ნაწყალობევი უფლებები. ისინი ადამიანის ბუნებითი, თანდაყოლილი და ხელშეუალი უფლებებია.

ამრიგად, სოციალურ უფლებებს, როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა ერთ-ერთ სახესხვაობას, სახელმწიფო კი არ აჩუქებს ხოლმე მოქალაქეებს, არამედ მხოლოდ ასახავს თავის ძირითად კანონში, განსაზღვრავს მათი დაცვის გარანტიებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.

საქართველოს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრინციპული წანამძღვრები:

I. ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის 15 პროცენტზე მეტი დღეს შინაგანი ლტოლვილის მდგომარეობაშია იმის გამო, რომ საქართველოს ტეროტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაპყრობილია რუსეთის მიერ. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა ეროვნული ტრავმის მდგომარეობაში იმყოფება. ამასთან:

– საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტი დღეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ეკონომიკური და სოციალურად ტრავმირებულია.

– საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი არასრულფასოვანი კვების მდგომარეობაში იმყოფება (მასობრივი შიმშილის ზღვარი). მოსახლეობის 50% დღეში მოიხმარს არამარტო ქვეყანაში დადგენილ მინიმალურ 2300 კკალ-ზე ნაკლებს (1900-2100 კკალ-ს), არამედ, FAO-ს მიერ რეკომენდებულ მინიმალურ 2150 კკალორიაზე ნაკლებს, ხოლო 20% – 1600 კკალ-ს ანუ FAO-ს მიერ რეკომენდებულ აბსოლუტურ მინიმუმზე 1800 კკალ-ზე გაცილებით ნაკლებს, რაც ფიზიკური დეგრადაციის მუდმივმოქმედი წყაროა, და მოსახლეობამ ეს იცის. ამიტომ მოსახლეობა მთლიანად ბიოლოგიური საფრთხისა და მისი გარდუვალობის ცნობიერებისგან მიყენებული ტრავმის პირობებში ცხოვრობს, რის გამოც მას არ შეუძლია იმ ძალისხმევის გაღება, რაც სჭირდება სახელმწიფო პოლიტიკის კორექციას ხელისუფლებაზე ზემოქმედების სახით.

– საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან და სხვა რიგი გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოში ვერ მუშაობს ეკოლოგიური დაცვის სისტემა (ვერც გარემოსთან მიმართებაში, ვერც საკვებთან მიმართებით) და საქართველოს მოსახლეობამ ეს იცის. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ეკოლოგიური დაუცველობის და მისგან გამომდინარე, ფსიქიკური ტრავმის მდგომარეობაში იმყოფება.

– საქართველოს მოსახლეობის დიდი პროცენტი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მეოთხედზე მეტი) ემიგრირებულია და ემიგრაცია გრძელდება. არის ასევე მასობრივი ემიგრაციის რეალური საშიშროება და მოსახლეობამ ეს იცის. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად დემოგრაფიული რეალური საფრთხისა და დემოგრაფიული ფსიქიკური ტრავმის მდგომარეობაში ცხოვრობს.

– საქართველოს მოსახლეობა (მისი ძირითადი მასა) ფაქტობრივად, მოკლებულია ჯანდაცვას.

– საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს მრავალსუბიექტიან საინფორმაციო სივრცეში, რომელშიც პედაგოგიკურად ადეკვატური არჩევანის მოხდენა მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას მოითხოვს. ამ კვალიფიკაციის მქონე კონსულტაციას მოსახლეობა მოკლებულია. შესაბამისად, მოსახლეობას ცხოვრება უხდება ისეთ პირობებში, როცა მშობელს არ შეუძლია შვილს, მისცეს პედაგოგიურად დასაშვები განმარტება როგორც რეალური, ისე საინფორმაციო სივრცეში დანახული მოვლენების შესახებ, ხოლო შვილს მცირეწლოვანის ჩათვლით, არა აქვს საშუალება, რომ მშობლის კომპეტენტურობის იმედი ჰქონდეს. სხვა სიტყვით, ბავშვი მისთვის პედაგოგიურად არასანდო გარმოში იზრდება, რაც მასობრივ პედაგოგიურ კატასტროფას ნიშნავს.

– საქართველოს მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ საქართველოს განათლებისა დ მეცნიერების სისტემა კვეცის პროცესშია, ანუ განვითარება მიდის იქითკენ, რომ მოზარდ თაობას ეკვეცება მსოფლიოსთვის მისაწვდომი ყველაზე მაღალი ცოდნის ოდესმე დაუფლების შესაძლე-

ბლობები. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად პრინციპული შემეცნებითი შეზღუდულობის და ამ უკანასკნელით გამოწვეული ფსიქიკური ტრავმის პირობებში ცხოვრობს. ამავე ფაქტორიდან გამომდინარე, მოსახლეობას მთლიანად ექმნება შთაბეჭდილება, რომ მის სახელმწიფოს არ ძალუძს კომპეტენტური აზრის შემუშავება მეცნიერებისათვის ცნობილ საკითხთა მთელ რიგზე, რაც დამატებით, ეროვნული თავმოყვარეობის ტრავმას ქმნის.

– საქართველოს მოზარდ თაობებს, ზემოხსენებული ინფორმაციული და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, არა აქვთ ობიექტური საფუძველი იმედისათვის, რომ მათთვის გახსნილია, პრინციპულად, თანამედროვე კაცობრიობაში არსებული ყველაზე მაღალი ფუნქციებისათვის პროფესიული მომზადების და ყველაზე მაღალ ფუნქციათა ოდესმე თავისთავზე აღების გზა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ცხოვრობს ბუნებრივ ამბიციათა პრინციპული შეზღუდულობისაგან გამოწვეული ფსიქიკური ტრავმის პირობებში.

– საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს აგროსასურსათო კატასტროფის შიშით გამოწვეული ყოველდღიური ტრავმის პირობებში, რამდენადაც არა აქვს სარწმუნო ინფორმაცია რა რაოდენობის რესურსი არსებობს (ან, კიდევ უარესი, იცის, რომ ასეთი რესურსი არ არსებობს), ანუ მოსახლეობა ცხოვრობს სურსათის გარანტირებული საკმარისი ხელმისაწვდომობის არარსებობის პირობებში.

– დასასრულ, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ცხოვრობს მორალისადმი, როგორც ადამიანთა ცნობიერებისა და მათი ურთიერთობის ელემენტებისადმი, უნდობლობის, ანუ მუდმივი მორალური ტრავმის პირობებში, რამდენადაც თითოეული გახსნილი, მაგრამ დაუსჯელად დატოვებული დანაშაული ასეთი ტრამვის წყაროდ კმარა.[1]

ყველა დასახელებული დისკომფორტი საქართველოს მოსახლეობისა იმ სახისაა, რომლითაც ილახება ადამიანთა ელემენტარული და მსოფლიოს მიერ ფიქსირებული ადამიანური უფლებები, მათ შორის – ბედნიერებისაკენ ადამიანის სწრაფვის უფლებაც. ამგვარად, ყველა ამ დისკომფორტთაგან საქართველოს მოსახლეობის განთავისუფლება საქართველოს სახელმწიფოს პრინციპულ მოვალეობათა რიცხვში შედის.

II. პრინციპული მნიშვნელობის გარემოებაა ის, რომ კაცობრიობის უახლოესი პერსპექტივა მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდთა, კომპანიათა, ქვეყანათა, სახელმწიფოთა, კონტინენტთა და ცივილიზაციათა კონკურენციას, არამედ სახელმწიფოებრიობის თვით მოდელთა კონკურენციასაც. საქართველოს სრული უფლება და ამავე დროს მისი პოლიტიკურად დასაქმებული მოსახლეობის მოვალეობაა საქართველოს სახელმწიფოს იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც

– ყველაზე უფრო ადეკვატურად უპასუხებს საქართველოს, როგორც ქვეყნისა და ერის, საჭიროებებს და

– ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს მოსახლეობაში დღეს არებული შესაძლებლობების შემოქმედებით გაშლას სახელმწიფო მშენებლობის საქმეში.

ის, რომ საქართველოს სახელმწიფოს მოდელი სავსებით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მიერ ხელმოწერილ ჰუმანიტარულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და სამართლებრივი აზროვნების თანამდეროვე დონეს, თავისთავად იგულისხმება.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის, ამ შემთხვევაში – მისი სოციალური პოლიტიკის პრინციპი არ შეიძლება არ იყოს ის, რომ მის გამჭოლ მიზანს შეადგენდეს არა მხოლოდ ადამიანთა არსებული სიმრავლისათვის ცხოვრების ოპტიმალური პირობების შექმნა, არამედ პარალელურად თვით ამ ადამიანთა სიმრავლის ფორმირება მაქსიმალურად ჯანმრთელ, ქმედუნარიან, შრომისუნარიან, კვალიფიციურ და კულტურულად პერსპექტიულ საზოგადოებად, რაც მათივე პირადი მიზნებისა და საუკეთესო ამბიციების შესაბამისია.

ადამიანისათვის ზრუნვაში (რაც სოციალური პოლიტიკის განუყრელი მიზანია) სახელმწიფო უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ მათი სასიცოცხლო ანუ ე.წ. „ძლიერი“ მოთხოვნილე-

[1] აშშ-ში სასურსათო უშიშროების განმტკიცებას ემსახურება კანონით გათვალისწინებული დახმარება, რომელსაც დაბალშემოსავლიანი ფენები ღებულობენ. მოსახლეობის ამ კატეგორიას უსასყიდლოდ ეძლევა ე.წ. „სასურსათო ტალონები“, რომლითაც მათ სურსათის შეძენა შეუძლიათ. 1994 წელს სასურსათო დახმარებამ შეადგინა 35.63 მლრდ დოლარი, რომლის 66.4% მოდიოდა „სასურსათო ტალონებზე“. ამგვარ დახმარებას ყოველთვიურად იღებდა 10.7 მლნ ამერიკელი. სასურსათო დახმარების დანარჩენი ნაწილი გათვალისწინებული იყო საავადმყოფოებისთვის, სკოლებისთვის, პენიტენციალური დაწესებულებებისთვის, ინდიელთა რეზერვაციებისთვის და სხვა ასეთი ტიპის ორგანიზაციებისა თუ საზოგადოებებისათვის. 2011 წელს აშშ-ში 46.2 მლნ მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა, ხოლო „სასურსათო ტალონებს“ იღებდა 45.8 მლნ ადამიანი (მოსახლეობის 15%).

ბების დაკმაყოფილებას შესაბამისი ღირებულებების განხორციელებით, არამედ არანაკლებ მათ ე.წ. „მაღალ“ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც და შესაბამისი ღირებულებების იმპლემენტაციას.

ხსენებული ორი პრინციპიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუცია უნდა მოიცავდეს ადამიანის სოციალური დაცვის ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებსაც (ჩამონათვალი, არასრულია).

საქართველოს კონსტიტუციაში (მეტი კონკრეტულობით) განსასაზღვრია სახელმწიფოს მოვალეობა მოქალაქის მიმართ (იქ, სადაც ცალკე აღებულ ინდივიდს თავისი პრობლემების მოგვარება არ ძალუძს).

სახელმწიფო ვალდებულია თავისი ბუნებრივი და სხვა სახის რესურსებით

– უზრუნველყოს მოქალაქისათვის სრულფასოვანი ეკოლოგიური სივრცე („სრულფასოვანში“, აქ და ქვემოთ, იგულისხმება საკმარისი როგორც სრული განვითარებისათვის, ისე თავის შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის).

– უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი კვება (ზრდასრულისთვის – მისი მხრიდან შრომისათვის მზაობის შემთხვევაში, მოზარდისთვის – უპირობოდ).

– უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის სივრცე, ანუ თანამედროვეობისთვის შესაფერისი განათლების შესაძლებლობა, აუცილებლად ფუნდამენტური მეცნიერების საფუძველთა მოცვით.

– უზრუნველყოს მისთვის ჯანდაცვის მინიმუმი.

– უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი მორალური სივრცე. მასში შედის:

ა) სახელმწიფოს სრულფასოვანი სამართლებრიობა (ჰუმანიტარული ენით – სამართლიანობა სახელმწიფოში),

ბ) დემოკრატია (მოქალაქეთა თავისუფლება მათს ძირითად ადამიანურ უფლებებში და თანასწორობა კანონის წინაშე).

გ) სახელმწიფო პოლიტიკის არსებითი შესაბამისობა ე.წ. მეტაიურიდიულ სფეროსთან, ანუ მოქალაქეებში ურყევად აღიარებულ შეხებულებებთან ოჯახის, ზნეობის, ადამიანურ ურთიერთობათა ზოგადი პრინციპების შესახებ.

– უზრუნველყოს მის მოზარდ თაობათათვის ჯანსაღი პედაგოგიური სივრცე. მასში შედის, ერთი მხრივ, ის, რომ გარემო (ვთქვათ, ქუჩის პეიზაჟი) არ შეიცავდეს ისეთ ელემენტებს, რომლებსაც მშობელი შვილს ვერ განუმარტავს და ვერ დაუსაბუთებს მის აღზრდაში გამოყენებულ ზოგად პრინციპთა თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ყველა დასახელებული პუნქტის სიახლოვეს (მით უმეტეს – დიდი ქალაქების გარშემო) სახელმწიფო საკუთრების საკმარისად დიდი ზონების არსებობა, სადაც ბავშვი და მშობელი თავისუფლად შედის, დარბის, თხილამურობს, მარწყვს წყვეტს და ა.შ., რის გარეშეც მას ვერ ექნება იმის განცდა, რომ მისი ქვეყნის სახით მას დედამიწაზე თავისი ადგილი აქვს.

– უზრუნველყოს თავის მოქალაქეთათვის ე.წ. „ამბიციის სივრცე“, ანუ სოციალური მობილობის სივრცე ყველაზე რთულსა და საპასუხისმგებლო ფუნქციებთან იმ პირთა მისასვლელად, რომელნიც უკვე ჩამოყალიბებულ ელიტებს არ ეკუთვნიან და წინსვლისათვის მხოლოდ საკუთარი პოზიტიური უნარების გამოყენებაზე არიან ორიენტირებულნი.

“წინამდებარე ჩამონათვალი ექვემდებარება გაფართოებასა და დაზუსტებას დარგობრივი სპეციალისტების (ფსიქოლოგების, სოციოლოგების, სოციოფსიქოლოგების, ეკონომისტების, ფილოსოფოსი-აქსიოლოგების, მედიკოსების, სამხედრო სპეციალისტების) ჩათვლით.

გასათვალისწინებელია, რომ აქ განხილული სფერო – მოქალაქესთან სახელმწიფოს დამოკიდებულება – ერთ-ერთია იმ ორიდან, რომელთა დაბალანსება სახელმწიფო მართვის სიბრძნის ძირითადი პარამეტრია. მეორე გახლავთ თვით სახელმწიფოს, კონკრეტულად, სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერის ისტორიულ-მასშტაბიანი ე.წ. მარადიული ინტერესების დაცვა.

ზემოთ მოყვანილი მიზნების დასახვა და მათი შესაბამისი იურიდიული ნორმების მიღება მკვეთრი შემობრუნების ეტაპი გახდება საქართველოს რეალურ ამოცანებთან ქართული კონსტიტუციის დეტალთა სკრუპულოზური მისადაგების ისტორიაში. ჯერ კიდევ მცირე ხნის წინათ ამგვარ შეხედულებათა გამოთქმა და დაცვა კვალიფიცირდებოდა დასავლეთის მრავალი პოლიტიკური მოღვაწის მიერ, როგორც სოციალისტური დემაგოგია. ამჟამად ეს კურსი მსოფლიოს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში განმტკიცებულია კანონმდებლობით და კვალიფიცირდება, როგორც “საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტია”.

* * * *

სასურსათო პრობლემა თავისი შედეგით, არსით, წარმოშობით და ხარისხით მიეკუთვნება აქტუალურ გლობალურ – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ – პრობლემათა რიცხვს. მისი საფუძველი ფიზიოლოგიურია, ბიოლოგიურია. ეროვნული სასურ-

სათო უშიშროების ბაზისი ცალკეული ადამიანის სასურსათო უსაფრთხოებაა. ცალკეული ადამიანისთვის სასურსათო უსაფრთხოება სასურსათო საფრთხის დაძლევაა, რომელიც ინდივიდს შეიძლება დაემუქროს საკვების ნაკლებობის (სრული არქონის) და მისი დაბალხარისხიანობის (უვარგისობის) შემთხვევაში. სოციალური თვალსაზრისით სასურსათო საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უუნარობამ მოიპოვოს სურსათი ან მისი შეძენის საშუალება. ამგვარი რამ შეიძლება მოხდეს შრომის უუნარობის შემთვევაში. ასეთი კატეგორიისათვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყობა უნდა ითავონ ახლობლებმა, საზოგადოებამ, სახელმწიფომ. როგორც წესი, ამგვარი შემთხვევები მასობრივ ხასიათს არ ატარებს და მათი შედეგები ლოკალური მასშტაბისაა. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, როდესაც სასურსათო უშიშროების დარღვევას სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი გააჩნია – მხედველობაში გვაქვს ამგვარი მოვლენა, როდესაც შრომისუნარიან ადამიანს არ აქვს სათანადო სახსრები (ან სრულიად არ გააჩნია მსგავსი რამ), – რომ უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება საკვებზე, მაშინ ამას გლობალური უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია. როდესაც ანალოგიური შემთხვევები მასობრივ ხასიათს იღებს, საქმე გვაქვს სახელმწიფოს ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

ამგვარად, ცალკეული ინდივიდისათვის სასურსათო უსაფრთხოების შენარჩუნების პირობები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: საკვების „საკმარისობა“, მისი „ხელმისაწვდომობა“ და მისი „ვარგისიანობა“. „საკმარისობა“ ნიშნავს იმ ოდენობის და ასორტიმენტის საკვები პროდუქტების არსებობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური განვითარებისთვის, ფიზიკური და ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებისათვის. „ხელმისაწვდომობა“ არის ინდივიდის ეკონომიკური უნარი, მოიპოვოს სურსათი ან მისი შეძენის საშუალება. ცნების ამგვარი ინტერპრეტაცია ეკონომიკურად აქტიურ ფენებს მოიაზრებს. ამიტომ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ხელმისაწვდომობა“ გულისხმობს შრომისუნარიანთათვის იმ დონის შემოსავლებს, რაც საშუალებას იძლევა მათ კმაყოფაზე მყოფი პირების გამოკვებისთვისაც. არსებობს პოტენციურად „შრომისუნარიან“ ადამიანთა ისეთი ჯგუფები (ვთქვათ, სამხედრო სამსახურში მყოფნი, ტუსაღები და ა.შ.), რომლებიც მოკლებულნი არიან ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, სურსათის ან მისი შეძენის სახსრების მოპოვების საშუალებას. ასეთი კატეგორიისათვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობაა. „ვარგისიანობაში“ იგულისხმება როგორც საკვები პროდუქტების უვნებლობა, ასევე კვების სტრუქტურის ხარისხიანობა. სრულფასოვანი კვება უნდა ეფუძნებოდეს კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული საკვები ნივთიერებებისა და სურსათის მრავალფეროვნებას.

ეროვნულ დონეზე „სასურსათო უშიშროების“ პირველი რიგის საკითხებია „საკმარისობა“, „ხელმისაწვდომობა“ და „თვითუზრუნველყოფა“. ამ შემთხვევაში „საკმარისობა“ გულისხმობს სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას ექსტრემალურ პირობებში (საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავებ, ომები, ეკონომიკური ბლოკადა, ანთროპოგენული თუ ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ) შეინარჩუნოს საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს სპეცზომების მიღება, რომელიც სურსათის ფიზიკურ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ფიზიკური ხელმისაწვდომობა არის მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობა უფასოდ ან შეღავათიან ფასებში ნორმირებულად იღებს აუცილებელ საკვებ პროდუქტებს. ამის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ტალონური სისტემა.

სახელმწიფოს სასურსათო უშიშროების „თვითუზრუნველყოფა“ გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის საკვებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევას ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამამულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უშიშროების შესანარჩუნებლად. სხვადასხვა მოსაზრებით, ეს მონაცემი 80-90%-ის ფარგლებში მერყეობს, ანუ ცალკეული ქვეყნის სასურსათო უშიშროება დარღვეულად ითვლება, თუ აქ მოხმარებული მთელი სურსათის 10-20%-ზე მეტი იმპორტულია. აღნიშნული მაჩვენებელი არის პირობითი ორიენტირი, თორემ თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე (გლობალური სასურსათო კრიზისი), მდგომარეობას ყველაზე უკეთ ასახავს დევიზი – „დამოუკიდებელმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რამდენის საშუალებასაც მისი ბიოპოტენციალი და ეკოლოგიური მდგომარეობა იძლევა“.

ამრიგად, ეროვნული სასურსათო უშიშროება გამომდინარეობს სახელმწიფოს მოვალეობისაგან და არის მთავრობის მიზანმიმართული ღონისძიებების სისტემა, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის ინდივიდუალური სასურსათო უსაფრთხოების მიღწევასა და დაცვას, უპირატესად სამამულო აგროსასურსათო სექტორის ფუნქციონირების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 2011 წლის რედაქცია, ცვლილებებითა და დამატებებით. საქართველოს პარლამენტი, თბ., 2011.
2. საქართველოს კონსტიტუციური სისტემა. საია, თბ., 2009.
3. ი. ფუტკარაძე, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საკონსტიტუციო რეგულაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბ., 2010.
4. გ. ნათაძე, თორმეტი წერილი საქართველოზე. გვ., 41. თბ., 2009.
5. პ. კოღუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი, სასურსათო პრობლემიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. გვ., 94-96. „მერანი“, თბ., 2000.

THE NATIONAL INSURANCE OF SOCIAL-ECONOMIC STABILITY OF SOCIETY

PAATA KOGHUASHVILI, Professor
NODAR NATADZE, Professor

The main types of food thread existed in a specific country is stated (the evaluation criteria) and the possible reasons of their existence is determined in this article. State's obligation for satisfying the requirements of the citizens and in the wide parameters of their lives is substantiated (among them in those which are not understood neither by the theoretical point of view, nor the practice) and the thesis of how the correspondent tasks are foreseen by the constitutions of the specific states is made.

In caring for people (which is an inseparable goal of social politics) the state should include not only satisfaction of their vital so called "strong" demands by implementing the correspondent value, but also one should include so called "high" demands and implementation of the correspondent values.

It should be foreseen that here discussed sphere – the attitude of the state and its citizens – is one among two, balance of which is a main parameter of wise management of the state.